



### „როცა უკან მოხედვის არ გავინია“

ომარ მარგველაშვილი დაიბადა 1942 წლის 6 სექტემბერს, ქ. თბილისში. 1959 წელს დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1965 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. ინსტიტუტში სწავლის პარალელურად მუშაობდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს გაერთიანება „თბილქალქმშენში“ ჯერ რედაქცია „სამშობლოს“, მერე სპორტის სასახლის მშენებლობაზე მუშად, ბრიგადირად, მემონტაჟედ, ათისთავად, მის დასრულებამდე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამშენებლო ტრესტ „ამიერკავკასმეტალურგ მშენში“ ოსტატად, ინჟინრად, უფროს ინჟინრად, სამუშაოთა მწარმოებლად, უბნის უფროსად, ზოოვეტერინარული და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების მშენებლობებზე, მათ ექსპლუატაციაში შეყვანამდე.

1970 წელს დაინიშნა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქშახტმშენის“ „მადნეულმშენის“, შემდეგ „საქშახტამონტაჟის“ სამმართველოს უფროსად, მერე ტრესტ „საქშახტმშენის“ მმართველად. 1977 წლიდან იყო საქართველოს მშენებლობის მინისტრის მოადგილე.

1983 წელს მოსკოვში წარჩინებით დაამთავრა საკავშირო მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის აკადემია ეკონომიკის, ორგანიზაციის, დაგეგმვისა და მართვის სპეციალობით. სადოლომო კომისიის თავმჯდომარე იყო გური მარჩუკი საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარე,



მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და დაინიშნა საქართველოს მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ.

1993 წლიდან იყო საქართველოს მატერიალური რესურსების მინისტრის პირველი მოადგილე, შემდეგ, საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 2008 წლიდან სს „თბილღვინოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა.

ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის (საგულისხმოა, რომ XXIV ყრილობის დირექტივებით მხოლოდ ორი ობიექტის მშენებლობა იყო გათვალისწინებული „ენგურჰესი“ და „მადნეული“), იმირის სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნის, ტყიბულისა და ტყვარჩელის ნახშირის მომპოვებელი შახტების, ჭიათურის მანგანუმის მომპოვებელი მადაროების, კვაისის ტყვია-თუთიის, ტყვარჩელის დოლომიტების, ურავის დარიშხანის და რაჭის ბარიტის გადამამუშავებ-

ბელი კომბინატების, საბაგირო გზების ტყვარჩელში, ტყიბულში, ჭიათურაში და რაჭაში რომლის სიგრძე არის 3460 მეტრი. კახეთის სარწყავი სისტემის, ტყვარჩელში მინისქვემა 1100მ. სიღრმეში ჰიდროელექტროსადგურის (საბჭოთა კავშირში პირველი), მარნეულის და ბოლნისის ნავთობის ბაზების, ტყიბულში, ბოლნისსა და დმანისში სავადმყოფოების, დმანისში, ბოლნისში, ონსა და ამბროლაურში ადმინისტრაციული შენობების, სასტუმროების ონსა და ამბროლაურში, ღვინის ქარხნების ყვარელსა და თბილისში, საქართველოს მინისტრთა საბჭოს სასტუმროს მოსკოვში, ქორწინების სასახლის თბილისში, საკავშირო მინისტრთა საბჭოს დასასვენებელი კომპლექსის „ივერიის“ ქობულეთში და სხვა მრავალი სამოქალაქო დანიშნულების ობიექტის მშენებლობას. პარალელურად მუშაობდა საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის საინჟინრო ქვედანაყოფების ხელმძღვანელად.

კურირებდა ბამ-ის (ბაიკალ-ამურის მაგისტრალი) და სლავუტიჩის (ჩერნობილის ტრაგედიის შემდეგ), საბჭოთა კავშირის გემთმშენებელი სამინისტროს ფოთის „ალბატროსის“ და ლანჩხუთის გასაიდუმლოებული ქარხნების მშენებლობებს, თბილისის ვაგონმშენებელი, რუსთავის აზოტისა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების რეკონსტრუქციას.

როდესაც მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის დროს, კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა, ჩავიდა მოსკოვში და სამი საკავშირო მინისტრის (კარავაევი, ბაკინი, ლომაკო) ხელმოწერით გააფორმა ბრძანება, რომელმაც გარდატეხა შეიტანა მშენ-

ებლობაში და დააჩქარა ობიექტის ექსპლოატაციაში დროული და ხარისხიანი ჩაბარება. (Приказ трех министров).

ხელმძღვანელობდა სომხეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის შტაბს.

აღადგინა თბილისის საპატრიარქოსთან მდებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.

1985 წლის 23 იანვარს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II მიიწვია საპატრიარქოში და თითქმის მთელი სინოდის თანდასწრებით სთხოვა ლევილში ქართველთა სასაფლაოზე ეკლესიის აშენება. ის ჩავიდა ლევილში, მაგრამ ვინაიდან მიწა, სადაც ეკლესია უნდა აგებულიყო, საქართველოს საკუთრებაში არ აღმოჩნდა, ეს უმნიშვნელოვანესი ნამოწყება ვერ შედგა.

საქართველოს მთავრობაში დაარეგისტრირა პირველი ერთობლივი საწარმო უცხოელ პარტნიორებთან (ისრაელი). 1985 წელს იერუსალიმში შეხვდა არიელ შარონს, მაშინდელ ისრაელის მშენებლობის მინისტრს მისივე მიწვევით.

მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით მოსკოვში საკავშირო ორგანოებში მიაღწია საქართველოში ტყის სამრეწველო ჭრის აკრძალვას და ყველა ადგილობრივი ფონდის ციმბირში გადასაგრებას.

საბჭოთა საქართველოში ერთადერთი ლომბარდის არსებობის დროს წლების მანძილზე ურიცხვი ძვირფასი ისტორიული და ანტიკვარული ნივთი მოსახლეობის მიერ გამოუსყიდველობის გამო იგზავნებოდა მოსკოვში, საკავშირო ფინანსთა სამინისტროს სპეციალურ საცავებში. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის შესწავლის შემდეგ მან მიიღწია აღნიშნული ეროვნული საგანძურის საქართველოში დატოვებას და მუზეუმებისათვის გადაცემას.

ორჯერ იყო მიწვეული მოსკოვში წითელი მოედნის სამთავრობო ტრიბუნაზე 1981 და 1982 წლებში.

წლების მანძილზე იყო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება „სამთოელის“ პრეზიდიუმის წევრი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სადიპლომო კომისიის წევრი.

მთავრობის დავალებით აფხაზეთიდან დევნილებს, უმკაცრეს კლიმატურ პირობებში ეხმარებოდა საკენსა და ჭუბერზე გადმოსვლაში და მათ დაბინავებაში ქუთაისსა და წყალტუბოში.

იმოგზაურა მსოფლიოს 54 ქვეყანაში. გერმანელების მიწვევით 1965 წელს ჰამბურგში დაესწრო ლეგენდარული „ბითლზების“ კონცერტს.

იყო საქართველოს სამგზის ჩემპიონი აკადემიურ ნიჩბოსნობაში.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

საგურამოში სადაც ცხოვრობს ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 680 ნიგნი.

პრესაში გამოქვეყნებული აქვს მრავალი წერილი საქართველოს საჭირობოროტო საკითხებზე.

არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების საბჭოს წევრი.

არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, მშენებლობის ეკონომიკის, ორგანიზაციის, მართვისა და ტექნოლოგიური კომპლექტაციის საკითხებზე გამოქვეყნებული 18 სამეცნიერო ნაშრომისა და 5 ნიგნის ავტორი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით, ოპოზიციონერი ელცინი ორჯერ იყო თბილისში და ორივეჯერ შეხვდა მას. ნიუორკში გაიცნო ლავროვი (კალანტაროვი), რომელიც მაშინ

რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი იყო გაეროში, მან და ევტუშენკომ, რომელიც შეხვედრაში იღებდა მონაწილეობას საოცარი კეთილგანწყობა გამოხატეს საქართველოს და ქართველი ხალხის მიმართ.

ჰყავს მეუღლე ბელა ლოლაძე ფილოლოგი და ხელოვნებათმცოდნე. ორი დაოჯახებული ვაჟი ზურაბი და გიორგი - წარმატებული ბიზნესმენები. შვილიშვილებიდან ქეთევანი დაოჯახებულია, ჰყავს ქალ-ვაჟი, დამთავრებული აქვს სორბონის უნივერსიტეტი პარიზში, ალექსანდრე, ანი და ნატალი სწავლობენ ლონდონში და მილანში.

ომარ მარგველაშვილმა საკმაოდ დაძაბული, რთული მაგრამ საინტერესო ცხოვრებით იცხოვრა. როგორც ბიოგრაფიიდან ნათლად სჩანს მტკივნეული დამარცხებების გარეშე, რაც გონიერი და მშრომელი კაცის ხვედრია.

მარტო გეოგრაფია მისი მოღვაწეობისა საოცრად შთამბეჭდავია, რადგან მთელ საქართველოს და ლამის მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირს მოიცავს. ის სამსახურეობრივი მივლინებებით საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში და რუსეთის 29 ოლქსა და ავტონომიურ ფორმირებებში არის ნამყოფი. მათ შორის ბევრ მკაცრად გასაიდუმლოებულ ქალაქში, ძირითადად ურალს იქით ციმბირში, მინისქვეშ შენობულ გიგანტ სამხედრო-სტრატეგიულ მეგასაწარმოებში. ქალაქ „ზვიოზდნიშიც“ სადაც ცხოვრობდნენ და ამზადდნენ კოსმონავტებს გასაფრენად. ბაიკონურში კოსმონავტების გაფრენასაც დასწრებია.

ის იცნობდა არაერთ ტიტულოვან მსოფლიო მნიშვნელობის ქართველ მეცნიერს, ზესაიდუმლო გრიფით მომუშავეებს, რომლებიც მთელი ცხოვრება ატომურ, ბირთვულ, სარაკეტო და კოსმოსურ ტექნიკის შექმნაზე მუშაობდნენ. აკადემიკოსები ალექსანდრე ნადირაძე, ვახტანგ ვაჩნაძე, გალაქტიონ ალფაიძე,



ნიკოლოზ ესაკია, გრიგოლ ალხაზაშვილი...რამოდენიმე გზის სტალინური და ლენინური პრემიების ლაურიატები. საბჭოთა კავშირის გმირები.

„ერთხელ – იგონებს ომარი – ერთ-ერთი გრანდიოზული მინისქვეშა ობიექტის დათვალიერების დროს მისმა ტექნიკურმა ხელმძღვანელმა მითხრა აკადემიკოს კურჩატოვის სიტყვები „не было бы Берия не было бы у нас атомной бомби“. ბომბისათვის უნდოდათ Б-1 დარქმევა, რაზედაც ბერიამ კატეგორიული უარი განაცხადა. მხოლოდ მას და კურჩატოვის მიანიჭეს „звание почотного гражданина СССР“. ეს ნოდება მას შემდეგ არავისთვის მიუნიჭებიათ“.

მთავარი უნარი, რომლითაც ომარ მარგველაშვილი გამოირჩევა, გახლავთ უმაღლესი პროფესიონალიზმი, დაფუძნებული საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აკადემიაში მშენებლობის ეკონომიკის, ფინანსების, ორგანიზაციის, დაგეგმვის, კომპლექტაციის და მართვის თეორიების მიღებულ ცოდნაზე და მშენებლობის ყველა საფეხურზე მუშაობით დაგროვებულ უკიდევანო პრაქტიკულ გამოცდილებაზე. თუმცა საქმის როგორი სიღრმისეული ცოდნაც არ უნდა ჰქონდეს, ვერცერთი ხელმძღვანელი დასახულ მიზნებს ვერ მიაღწევს თუ ვერ ფლობს ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას.

აკადემიაში ლექციებზე დასწრება თავისუფალი იყო, მაგრამ ვინაიდან მსმენელები სისტემატიურად ხვდებოდნენ საკავშირო მინისტრებს, კომიტეტის თავმჯდომარეებს და მეცნიერებს სხვადასხვა მიმართულების კორიფეებს, გაცდენის სურვილი არავის ჰქონდა.

ზემოთ ჩამოთვლილი ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების ვრცელი ნუსხა თავისთავად მეტყველებს, რომ დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელების დაინტერესებას და მართვას წარმატებით ახერხებ-

და. ის აშკარად მკაცრად დისციპლინირებული ხელმძღვანელი იყო. სხვაგვარად ამდენ რთულ საქმეს ვერ გაუმკლავდებოდა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოს გეგმებსა და ობიექტების ექსპლუატაციაში ჩაბარების პროგრამებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა. ტრესტის თანამშრომლებს ყველაზე მაღალი ანაზღაურება ჰქონდათ სხვა სამშენებლო ორგანიზაციებთან შედარებით. თვითონ ომარს ანაზღაურება ორჯერ მეტი ჰქონდა, ვიდრე საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. ტრესტ „საქმანტამშენს“ მისი ხელმძღვანელობის დროს მიანიჭეს შრომის წითელი დროშის ორდენი. საქართველოში მხოლოდ ორი სამშენებლო ტრესტი იყო ორდენოსანი.

მის ქვედანაყოფებს კატეგორიულად სთხოვდა სანარმოო, გეგმიური და საფინანსო დისციპლინების შესრულებას, რომ არ ჰქონოდა მას ეს თვისებები, ცხადია ვერც ასეთ წარმატებებს მიაღწევდა.

როდესაც ტრესტის არსებობას პრობლემა შეექმნა, მშენებლობის საკავშირო მინისტრს კარავაევს, შევარდნაძესთან და ბრატჩენკოსთან შეთანხმებით, გააფორმებინა დოკუმენტი, რომლის თანახმად საკავშირო უწყებებმა ტრესტი პირდაპირ უზრუნველყოფაზე აიყვანეს. გეგმებს, პროგრამებს, მატერიალურ-ტექნოლოგიურ კომპლექტაციას უზრუნველყოფდნენ საკავშირო უწყებები. ასეთი უნიკალური შედეგათვით ერთადერთი სამშენებლო ტრესტი სრგებლობდა.

ომარ მარგველაშვილი თავის დიდად საინტერესო წიგნში „როცა უკან მოხედვის არ გეშინია“ იგონებს: „მე სამშენებლო საქმის შესანიშნავმა, უდიდესმა ორგანიზატორებმა და უმაღლესი კატეგორიის პროფესიონალებმა აღმზარდეს და ჩამომავლობის როგორც მშენებელი ინჟინერი – ქედს ვიხრი მათი ხსოვნის წინაშე, უსაზღვრო მადლიერების გრძნობით ვარ განმსჭვალული

მათ მიმართ – შალვა გარდაფხაძე, ზურაბ ჯაფარიძე, გრიგოლ ვაშაქიძე, ელიზბარ მინდელი, თედო კინწურაშვილი, არკადი ლობოცკი, ილია ვაინერი, ალბერტ ფიშერი...“

მეგობრობდა ისეთ ღირსეულ და ღვანლმოსილ პიროვნებებთან როგორც იყვნენ: სულმნათი ჭაბუა ამირეჯიბი, ირაკლი ჟორდანიას, ვლადიმერ ბურაკოვსკი, ევგენი ხარაძე, ომარ გოგლიძე, ნოდარ ხვთისიაშვილი, გიმერი ბილანიშვილი, ვიქტორ ჩხიკვაძე, ალექსანდრე ჩიკვაძე, ნიკოლოზ ესაკია, ვლადიმერ ლომეიკო, ანდრო იაკობაშვილი, დევი სტურუა, ზურაბ ჩხეიძე, ნიკოლოზ ცხაკაია, ბორის ადლეიბა, სამა ბუაძე, რეზო სალუქვაძე, ოთარ ზუხბაია, ოთარ ლოლაშვილი, ოთარ ხატიაშვილი, შალვა მაღლაკელიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ სულაძე, ფრიდონ თოდუა.

კეთილგანწყობილი საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა როგორც საკავშირო, ასევე რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებთან, რა თქმა უნდა ესეც განაპირობებდა მის წარმატებებს.

ომარის ობიექტებზე მყოფი საკავშირო მინისტრები კარავაევი, ბაკინი, ლომაკო, ბრატჩენკო, საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ბაიბაკოვი, პოლიტიბიუროს წევრი დოლგინი და რესპუბლიკის ხელმძღვანელები აღნიშნავდნენ მშენებლობის ორგანიზაციის მაღალ კულტურას.

მშენებლობის საკავშირო მინისტრმა კარავაევმა 60 წლის იუბილეზე მხოლოდ მარგველაშვილი მიიწვია, ყველაზე ახალგაზრდა საქართველოს მშენებლობის მინისტრის ექვსი მოადგილიდან. არ მიუწვევია თვით მინისტრი ჯ. მეძმარიაშვილიც კი.

ომარ მარგველაშვილი რომ მტკიცე და შეუდრეკელი კაცია, ამის დასტურია რესპუბლიკის გაფართოებულ თათბირზე ტრიბუნაზე მდგარ საქართველოს ცკ-ს მეორე მდივანთან გენადი კოლბინთან დაპირისპირება. მსგავსი

შეუპოვრობა მომავალი კარიერის ფასად შეიძლება დასჯდომოდა ახალგაზრდა ტრესტის მმართველს, მაგრამ ვინაიდან მართალი იყო და მაღალი სანარმოო მაჩვენებლები ზურგს უმაგრებდნენ, არ მოუთმინა არაობიექტური კრიტიკა ცკ-ს მდივანს. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და აქტივი დარწმუნდა, რომ ის ჯაბანი კაცი არ იყო.

საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით თბილისში ჩატარდა გაეროს გასვლითი კონფერენცია. ომარ მარგველაშვილი დანიშნეს საორგანიზაციო საბჭოს თავმჯდომარედ. კონფერენცია ჩატარდა უმაღლეს დონეზე. ეს იყო გაეროს პირველი და უკანაკნელი გასვლითი კონფერენცია.

ალბათ უნდა აღინიშნოს, რომ შენობაში, რომელშიც დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ბინადრობს, ადრე განთავსებული იყო ომარ მარგველაშვილის ტრესტი „საქმახტმშენი“ და მისი ორგანიზაციები. ეს შენობაც ამ ტრესტის აშენებულია მისი წინამორბედების მიერ. (ჩხეიძე, მარიახინი, ცუცქერიძე, გოგავა, დრონოვი).

მშენებლობის სამინისტროში მან მატერიალურ-ტექნოლოგიური კომპლექტაციის და ტრანსპორტის მუშაობის ისეთი დახვეწილი სელექტორული მართვის სისტემა შექმნა, რომ მინისტრთა საბჭომ (ზ. პატარიძემ) პრეზიდიუმზე განიხილა და უმაღლესი შეფასება მისცა. სხვა სამინისტროებს კი რეკომენდაცია გაუწია დაენერგათ ეს სისტემა. მანვე მშენებლობის ეკონომიკის და ფინანსების მართვის ისეთი პროგრესიული ფორმა დაენერგა, რომ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა (ნ. ჭითანავამ) კატეგორიულად მოსთხოვა რესპუბლიკის სამინისტროებსა და კომიტეტებს გადაეღოთ ფინანსების მართვის აპრობირებული და წარმატებული მეთოდი.

რომ წარმოიდგინოთ მისი საკურატორო ზონის მასშტაბები – უნდა ღინიშნოს, რომ სამინ-

ისტროს სისტემაში მუშაობდა 86 000 თანამშრომელი. ერთ დღე-ღამეში სამინისტრო ამუშავებდა 1200-1400 რკინიგზის ვაგონს, სამინისტროს ქვედანაყოფების მიერ წარმოებული სამრეწველო პროდუქცია ორნახევარჯერ აღემატებოდა საქართველოს სამშენებლო მრეწველობის სამინისტროს მიერ წარმოებულ პროდუქციას (ო. ლოლაშვილი, ნ. ვაშაძე).

ომარ მარგველაშვილი კარიერისტი არასდროს ყოფილა. ის წმინდა წყლის სამეურნეო ხელმძღვანელი იყო. მას უარი აქვს ნათქვამი მთელ რიგ მაღალ თანამდებობებზე: საქართველოს მშენებლობის მინისტრის მოადგილეობაზე, საბჭოთა კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილეობაზე, საქართველოს სოფლის მშენებლობის მინისტრის მოადგილეობაზე, საბჭოთა კავშირის მშენბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეობაზე (მაშინ საბჭოთა კავშირში მხოლოდ ორი გიგანტი ბანკი ფუნქციონირებდა „სახელმწიფო ბანკი“ (ვალხიმოვი, გრიგოლ ვაშაძის სიმამრი) და „მშენბანკი“ (ზოტოვი) – რომელიც საბჭოთა კავშირის მთელ სახალხო მეურნეობას აფინანსებდა), რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩის თანამდებობაზე, საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილეობაზე და სხვა...

მის მიერ გამოცემულ ზემოხსენებულ წიგნში „როცა უკან მოხედვის არ გეშინია“ რომელიც ფენომენალური მეხსიერების და წარმოსახვის წყალობით არის დაწერილი, მართლაც ერთი ამოსუნთქვით წასაკითხია. ავტორისეულ წანამძღვარში ვკითხულობთ: „ვუძღვნი ჩემს უსაყვარლეს, უსათნოეს და უგანათლებულეს მეუღლეს, რომელმაც უსასტიკესი საბჭოთა რეჟიმის საშინელება ჯერ კიდევ მცირეწლოვანმა გადაიტანა ოჯახთან ერთად. ორი ემელონი, 35 000 მეტი ქართველი – უმთავრესად ინტელიგენცია,

სატვირთო ვაგონებით 1951 წლის 31 დეკემბერს ახალი წლის ღამეს გადაასახლეს ყაზახეთში. ორი თვე ყინვაში, ჯოჯოხეთურ პირობებში მგზავრობდნენ. გზად იხოცებოდნენ ბავშვები, ხანდაზმულები, ავადმყოფები. ვაგონში გვამების გაუსაძლისი სუნი დგებოდა, ბადრაგი მატარებელს აჩერებდა და ხალხს აიძულებდა მიცვალებულები ვაგონებიდან ჩაეტანათ და თოვლში ჩაეფლოთ, ვინაიდან მინის გათხრა ყინვის გამო შეუძლებელი იყო.

აბსოლიტურად უდანაშაულო ადამიანები მაშინდელი 16 რესპუბლიკიდან მხოლოდ საქართველოდან გაასახლეს და სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს. მაშინ, როცა საბჭოთა იმპერიის სადავეებთან იდგა ორი ძლევამოსილი ქართველი იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია. როგორც კი სტალინი გარდაიცვალა ორი თვეში 1953 წლის მაისში ყველა გაანთავისუფლეს და გაამართლეს“.

რაიმე ახსნა თუ აქვს ამ სულისშემძვრელ, არაადამიანურ ფაქტს.

ფრთიანი გამოთქმების მოყვარულთ, მოკრძალებით ვურჩევთ, ყურადღებით წაიკითხოთ ომარ მარგველაშვილის „ცხოვრებას ადევნებული ფიქრები“ გვერნმუნეთ, ბევრ საინტერესო და საგულისხმო აზრს ამოიკითხავთ, ბატონებო!

**ამა წლის 6 სექტემბერს ომარ მარგველაშვილს 78 წელი შეუსრულდა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ულოცავს მას ამ თარიღს და უსურვებს ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლეს.**

რედაქტორი: ენვერ ნიჟარაძე  
დაკაბადონება: პაატა ქორქია  
**უნწყებები** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ათვლითი გამოცემა იბეჭდება აკადემიის სტამბაში